№ 151. 3 აგვისტო, ოთხშაბათი. 1866—1883 3 აგვისტო, ოთხშაბათი. № 151.

რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე თავ. მუხრანბატონის სახლებში [illegible] ქვემოდ.

ხელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

«დროების» ფასი

მთელის წლისა . . . 9 მან. | სამის თვისა . . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . 5 მან. | ერთის თვისა . . . 1 მან.

# დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა

სტრიქონზე რვა კაპ. განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზე.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დაუბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია გერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

მიიღება ხელის-მოწერა გაზეთ

„დროებაზედ"

პირველის აგვისტოდამ წლის დამლევამდე. ფასი ოთხი მანათი.

სოფლის მასწავლებლებისათვის სამი მანათი.

«დროების» ნომრები თითო შაურად იყიდება, თბილისს გარდა:

ქუთაისში, ჭილაძის მაღაზიაში,

ბათუმში, ფეიქაროვის თამბაქოს მაღაზიაში,

დუშეთში, გაბო ბაშაროვთან.

გორში, საზოგადოების დეპოში, ალალო თუთაევთან.

აქვე მიიღება ხელის-მოწერა.

## ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი.»)

1 აგვისტოს.

**პეტერბურღი.** გუშინ გარდაიცვალა სიდამბლით მათის იმპერატორებითის დიდებულებათა მოძღვარი დეკანოზი ბაჟანოვი.

**მოგილევ-პოდოლსკი.** პოდოლის გუბერნიაში მოვიდნენ ოსმალოს რემონტიორები, რომელთაც რამოდენიმე ათასი ცხენი უნდა იყიდონ.

**ირკუტსკი.** ორთქლის კატერმა, «სიბირიაკმა» გაიარა ყველა ანგარის კლდეები და 11 ივლისს ენისეისკში მივიდა.

**ცეტინიე.** გუშინ დაქორწილდენ პეტრე ყარაგეორგიევიჩი და კნიაჟნა ზორკა ხელმწიფე იმპერატორის წარმომადგენელის გრაფი ორლოვ-დენისოვის, დიპლომატიური კორპუსის, წარჩინებულთა და აფიცერთა თანადასწრებით.

### თბილისი, 2 აგვისტოს.

რაზედაც გუშინ ვლაპარაკობდით, დღესაც იმასვე ვუბრუნდებით. ჩვენ გვინდა ცხადად დავანახოთ საზოგადოებას და საზოგადოების საქმეს გამგეთ, რა ფასი უნდა ედოს ზოგიერთ შემთხვევაში სოფლის განაჩენს და როგორ ადვილად შეიძლება ამ განაჩენების წყალობით სრულიად უბრალო კაცს იმისთანა სასჯელი მიადგეს, როგორიც არის სამუდამოდ ციმბირში გადასახლება. ციმბირში გადასახლება ჩვენის სოფლელისათვის ხშირად სიკვდილით დასჯას უდრის და [illegible] არ, დაზოგავს რომელიმე სინიდისზე ხელ-აღებული კაცი, რომ თავის მოსისხლე მტერს ეს სასჯელი მიაყენებინოს. ამისთანა უსამართლო განაჩენების შედგენა ყველგან ადვილია და უფრო ადვილია თურმე იმერეთში. თავ-კაცზედ ნუღარას ვიტყვით, მებატონესაც შეუძლიან მთელი სოფელი თავისკენ მიიმხროს და განაჩენს თავისიათაც უნდა, იქით უყოს... ჩვენ ვიცით რამდენიმე მაგალითი, რომ სოფელს რომელსამე საგანზედ განაჩენი დაედგინოს და პატარა ხანს უკან იმავე საგანზედ დაედგინოს მეორე განაჩენი, მაგრამ სრულიად პირველის წინააღმდეგი. ამას წინად, მაგალითად, ს. პატარძეულს დაედგინა რომ მისი სკოლა «წერა-კითხვის საზოგადოების» მზრუნველობის ქვეშ ყოფილიყო; პატარა ხანს უკან ამ სოფელში მიბძანებულიყო ბ. მაზრის უფროსის თანა-შემწე და დაედგინენებინა (რომ სკოლა სახალხო სკოლების დირექციის ხელში გადასულიყო. იქნება ეს შორი-შორს მაგალითი კი იყოს და ბევრმა სთქვას,—ხალხმა რა იცოდა ან «წერა-კითხვის საზოგადოება» ან დირექციაო, მაგრამ კიდეც ეს არის, რომ იმისთანა საგნებზედ ადგენდა განაჩენს, რომლისაც არაფერი გაეგებოდა-რა და საკმარისი იყო,—მთავრობის კაცი მისულიყო ვინმე, რომ განაჩენი პირქვე დაემხო და სხვა ახალი განაჩენი შეედგინა კიდევ იმისთანა საგანზედ, რომლისაც არც თავი იცოდა, არც ბოლო.

რუსული გაზეთები ამავე საგანზედ ერთს შემთხვევას მოგვითხრობენ: ერთს კაცს, თურმე, სოფლის განაჩენის ძალით ციმბირში გზავნიდენ; სახლობა ტირილით უკან მისდევდა და სოფლელები ურჩევდენ საჩივარი შეეტანა ყრილობაზედ, რომელიც უკანონო იყო, რადგან იმისმა მტრებმა შვიდ კაცს არაყი დაალევინეს და იმით აჯობეს იმის მომხრეებს. შესანიშნავია გაგზავნილის პასუხი: «არა, ძმებო, არ ვიჩივლებ. მე კარგად ვიცი რისთვისაც მგზავნიან. ვერ მოვეწყე მამასახლისსა და მწერალთან კარგად და ამას თავის დღეში არ შემარჩენენ. ახია ჩემზედ: რამდენჯერ ერთის სტაქნის გულისთვის მე თითონ საუკეთესო კაცების თაობაზე მიყვირნია სხვებზე უფრო ხმა-მაღლა: «გაგზავნეთ, გაგზავნეთ ციმბირში მეთქი!» ჩვენს ხალხს მართალია არაყი ისე არ უყვარს, რომ თავის მეზობელი ერთის სტაქნის გულისთვის საციმბიროდ გამოიმეტოს, მაგრამ კაცი ყველგან თავისებური მოთხოვნილება აქვს. იქ არაყია, აქ ღვინო იქნება, ან ის «საზიზღარი მეტალი», რომლითაც არაყიც მოიპოვება, ღვინოც და სხვა ქვეყნიური კმაყოფილებაც.

---

«დროების» ფელეტონი, 3 აგვისტო.

### ს. მესხის გარდაცვალებაზე.

დაშრტა... ცრემლები რა დროსია, რას წაგვადგება?..
დაშრტა მუშაკი, ვით ლამპარი სითბოსგან დნება,—
ვერ აიტანა მუდამ შრომა, ტანჯვა-წვალება,
და დაჰკნა ბოლოს მისი ქორფა ახალგაზდობა...

*

ეკლებიანი განვლო მან გზა უნდო ცხოვრების,
ისე ვით მუშაკს, მამულის-შვილს შეეფერების,—
მარად გვირგვინი მას ეხურა თავზედ წამების,
ხელში ეჭირა დროშა შრომის, პატიოსნების...

*

ხალხის სამსახურს ნიჭი, ღონე მან მოახმარა,
სიცოცხლეც ბოლოს მას შესწირა,—აღარ აკმარა...
მწარე, მოღრუბლულს ყოფაში კი ცისა კამარა
მას არ უხილავს არც-ერთჯერაც წმინდა, ანკარა...

*

ეს ბედი ელის ყოველს მუშაკს, ხალხის მომჭირნეს:
აწმყო წამების გვირგვინის მეტს მას არას აძლევს,
წყვდიადსა აჩვევს მის გარშემო მთლად არე-მარეს,
და ამ ბნელეთში მსწრაფლად უთხრის ბნელსა სამარეს...

*

მაგრამ მისს გულში მაინც ღვივის ცის ნაპერწკალი,
მას მაინც ათბობს და აღელვებს იმედის ალი,
რომ თუ არ აწმყო, დააფასებს მას მომავალი,—
ლოცვა კურთხევით მოიგონებს ჩამომავალი...

*

მრავალ-ტანჯულო მუშაკო, შენც ამა იმედით
გულს იმხნევებდი, დასუსტებულს ურიცხვ ტანჯვებით,
შენც იმედობდი, რომ ნალვაწსა შენსას მადლობით
ქართველი კაცი მოიხსენებს გულ-ამაყობით.

*

დიაღ, ყოველი მოძმე შენი პატიოსანი
შენ მოგიგონებს ალტაცებით თვალ-ცრემლიანი,
გამვლელსაც ეტყვის ქვის წარწერა ვარაყიანი:
«ნაძრახს სიცოცხლეს სჯობს სიკვდილი სახელოვანი!..»

დიმ. გრემელი.

### თელავური ფელეტონი.

თელავის დამზოგველ საზოგადოების დეპო.—წლიური ანგარიში.—კრება 16 მკათათვეს.—ბ. ნ. მთვარელიშვილი.

რაც თელავში დამზოგველ საზოგადოების დეპო დაარსდა, წელიწადია. გუშინ ამ საზოგადოებას კიდეც ჰქონდა წლიურის ანგარიშის განხილვა. მე დავესწარი ამათ კრებაზედ და ეს ორიოდე სიტყვაც თქვენის გაზეთის ფურცლებს მოვართვი. მოთავე ამ დეპოსი, როგორც დაწყობისა, აგრეთვე მსვლელობისა, არის ვანო როსტომაშვილი, რომელიც ამ ჟამად ავად-მყოფობის გამო არავითარს მონაწილეობას აღარ იღებს. საზოგადოება იყო მოწვეული დანაშთენ დეპოს მმართველთაგან 16 მკათათვეს, საღამოს რვა საათზედ, თელავის კლუბში, ანგარიშის განსახილველად და ზოგიერთა საგნების გადასაწყვეტად. წინადვე მოისმოდა ხმები წევრების ორ პარტიად გაყოფაზედ; ერთს შეადგენდენ დეპოს მოქმედების გაძლიერების მსურველნი და მეორეს—იმისიც მოწინააღმდეგენი, რაც აქამდის იყო. ამ ამქრების, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, ტყვია-წამალი და გუდა-ნაბადი აქ უნდა ყოფილიყო გამოზიდული და ამისთვის უფრო სასიამოვნოდ ხდებოდა ამ კრებაზედ დასწრება. 54 წევრთაგან შეიკრიბა 14 კაცამდის და რადგანაც წესდების ძალით $1/5$ წევრთ ნება აქვს ყოველ საზოგადო საქმის გადაწყვეტისა, ამისათვის კრება შემდგარად აღიარეს.

პირველი საგანი, რომელიც წარედგინა კრებას, იყო თავმჯდომარის ამორჩევა. ამ ადგილისათვის იყვნენ ორივეს პარტიის კაცები დასახელებულნი. დეპოს კეთილ-მოსურნეთაგან თ. მიხეილ პეტ. ანდრონიკოვი; დეპოს არა-მოკეთეთაგან «ნიკალაი ვასილიჩი» (მთვარელიშვილი). ამ უკანასკნელის თავმჯდომარეობა სურდათ ბალთასარ ბალდოევს, იოსება მიღდისოვს და კიდევ თითონ; პირველისა კი უფრო ბევრს. ამისთვის ბ. მთვარელიშვილმა ძალა-უნებურად დაუთმო თავმჯდომარეობის სავარძელი მ. პ. ანდრონიკოვს. ეს იყო პირვე-

## ახალი ამბები.

დუშეთიდამ გვწერენ, რომ იქაც, 29 ივლისს, განსვენებულის სერგეი მესხის მოსახსენებლად გარდაუხდიათ პანაშვიდი, რომელზედაც დასწრობია დუშეთის მოქალაქობა, მომრიგებელი მოსამართლის მოადგილე და სხვა პატივცემულნი პირნი. პანაშვიდზედ დამსწრე საზოგადოება გვთხოვს განსვენებულის ნათესავებს იმის მაგიერ გულითადი მწუხარება გამოვუცხადოთ.

როგორც შევიტყეთ ტფილისის გუბერნატორად დანიშნული იქნება ბაქოს გუბერნატორი ბ. ჰოუბშე-ფონ-გროსტალი.

ახალციხიდამ გვწერენ, რომ იქაურ კათოლიკობაში დიდი აყალმაყალია ეკლესიის თაობაზედაო: წარსულ თვეებში საზოგადოებამ მოსთხოვა ანგარიში ბ. მეფისოვს, რომელიც ივლიტის ეკლესიის სანდიკად ითვლებოდა და მეფისოვმაც მაშინვე წარუდგინა, მაგრამ ციფირებს როგორღაც გზა და კვალი დაბნეოდათო. ამის თაობაზედ საზოგადოებამ სამი პირი ამოირჩია ანგარიშის გასაწმენდად, მაგრამ აქაურმა სასულიერო მმართველობამ ეს პირნი ხალხის ალმაშფოთებლად იცნო და მმართველობის შეურაცხებაც დასწამაო (ბ. მეფისოვი ამ მმართველობის საქმის მწარმოებელია). ამის თაობაზედ ორივე მხრიდამ პროკურორთან არის საქმე წარდგენილიო.

კვირას, 31 ივლისს, დილის ცხრა საათზედ, ერევნის მოედანზედ, ერთს ყმაწვილ დურგალს მოუნდომებია საჩქაროდ საზამთროს ალება, რომელიც რკინის რელსებზედ დაცემულა, მაგრამ ცხენის რკინის გზის ვაგონს მოუსწრია და იქვე გაუჭყლეტია.

გაზეთი «თერგი» ამბობს რომ კვირას, 17 ივლისს, ვლადიკავკაზში გახსნილა სკოლა სომხის ქალებისათვის. ამ სკოლისათვის საჭირო ფული მოგროვილა ერთის დეკანოზის მეოხებით, რომელსაც რამდენიმე ქადაგება უთქვამს ეკლესიაში ამ საგანზედ.

თუმცა ქუთაისში მარტო 180-მდე სომხის სახლობაა, მაგრამ მღვდლის ტერ-დავით იარალიანცის მეოხებით იქ ჩინებული სომხის სკოლაა გამართული, რომელშიაც თურმე წრეულს 126 ქალი თუ ვაჟი სწავლობდა. სკოლას ჩინებული შენობა აქვს. სკოლაში სწავლობდენ არამც თუ სომხის ქალები, ურიების ქალებიც. მთელის სკოლის მზრუნველობა ებარა ამ საქმის ინიციატორს, მაგრამ ეხლა, როგორც «კავკაზსა» სწერენ, ბ. ტერ-დავით იარალიანცი აპირებს მზრუნველობისათვის თავის განებებასაო.

ჩვენ მივიღეთ მეოთხე (აპრილის) წიგნი «ქართულის ბიბლიოთეკისა» შემდეგის შინაარსით: 1) არა, არ არის დანაშაული რომანი ეტტი პირსისა ნათარგმნი ანნა მესხისა (შემდეგი) და 2) აკალდამები, მოთხრობა ევგენია ტურისა (შემდეგი) ნათარ. ან. და ეკ. ნიკოლაძის ქალებისა.

## «დროების» კორესპონდენციები.

—

**დ. ყვირილა, 31 ივლისს.** დღეს საღამოს აქაურ სცენის მოყვარეებს სურდათ ქართულის წარმოდგენის გამართვა ერთის ახლად ქუთაისის გიმნაზიაში კურს შესრულებულის ქართველი ყმაწვილის სასარგებლოდ, მაგრამ ერთმა უეცარმა შემთხვევამ დაფუშა ყველაფერი. დილის ცხრა საათი იქნებოდა სწორედ, როდესაც ერთი უშველებელი ხმაურობა და ყვირილი შეიქმნა მთელს ბაზარში: «არიქა, გვიშველეთ, მომრიგებელი მოსამართლე ერასტოვი დაისრჩოვო»! ზოგს ეს ამბავი ტყუილი ეგონა, რადგანაც იმ ალაგას, სადაც ის დამხრჩვალა მდ. ყვირილა ისეთი პატარა არის, რომ შვიდის წლის ყმაწვილსაც შეეძლო გასულგამოსულიყო, მაგრამ როდესაც მივარდით იმ ადგილს, მდინარის პირზე მიმჯდარებული ერასტოვი ეჩირათ ხელში და ცდილობდენ, მოებრუნებინათ.

დღეს დილას ადრე ჩამოსულა განსვენებული თავის ცოლის-ძმით მდინარეში საბანებლად; უბანიათ კარგა ხანს, შემდეგ ცოლის-ძმა შინ წასულა და ბიჭიც თან გაჰყოლია. რამოდენიმე ხნის შემდეგ ერასტოვის ცოლს ბიჭი გამოუგზავნია ამბის შესატყობლად, რა დაემართა, აქამდის რად დაიგვიანაო. მისულა ბიჭი, მაგრამ თავის ბატონი ვერსად უნახავს. შემდეგ მებნისა ნახავს მას წყლისგან ერთს ხის ძირზედ მიგდებულს და მთლად გალურჯებულს. ბიჭი მოჰყოლია ყვირილს; მოცვივნილა აუარებელი ხალხი, გამოუთრევიათ ნაპირზე და დაუწყიათ თავისებურათ ექიმობა (ჩვენი ექიმი შინ არ გახლდათ), რადგანაც სიცოცხლის ნიშნები კიდევ ეტყობოდა. აქ ვერ წარმოიდგენთ, რა არეულობა იყო. ზოგი ამბობდა: «დააწვინეთ ეგრე, მე უფრო ვიცი თქვენზე, ეს ამადა-ამ წიგნებში წამიკითხავსო.» მეორე ამბობს—«ასე როდი სწერია ჩემს დავითნშიო» და სხვ. ჩვენებური გლეხი და აზნაურები კი ზევით იყვნენ და იძახოდნენ: «ბატონებო, ჩვენ დაგვაცადეთ, მაგის მოვლა—ჩვენ უკეთ მოვუვლითო; ჩამოჰკიდეთ თავ-დაღმა, სცემეთ და ტანი მაუდით უხეხეთო», მაგრამ ვინ იყო გამგონე! აწვალეს საცოდავი თითქმის ერთი საათი და შემდეგ განუტევა სული.

არავინ იცის, რა რიგად დაიღრჩო. ამბობენ, წინად განსვენებულს ხანდისხან ავი ზნე ემართებოდა და ეგებ ახლაც იმან მოუარა წყალში და მშველელი არავინ იყოვო.

ამ სამის დღის წინად, განსვენებულს ეწვივნენ დედა და მოხუცებული მამა მღვდელი რუსეთიდგან და მხიარულობაში იყვნენ, მაგრამ დღეს უბედური დღე გაუთენდათ.

განსვენებულს დარჩა ერთი მცირე წლოვანი ვაჟი.

თ. კვალითელი.

**ბათუმი, 26 ივლისს.** შარშან ბათუმის მაჰმადიანთ ქართველთა საზოგადო განჩინების ძალით ის ადგილი, რომელზედაც მათ ოსმალოს ქვეშევრდომობის დროს სკოლა ჰქონდათ, გარდასცეს «წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას» იმ პირობით, რომ ამ ადგილზე, ან ამ ადგილის მაგიერ აღებულის ფულით, აეშენებინა «საზოგადოებას» სკოლა. ეს საქმე «წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ» მიანდო თავის წარმომადგენელს განსვენებულს სერგეი მესხს, უწინდელს რედაქტორს «დროებისას». სერგეი მესხმა აიღო ვექილობა მაჰმადიანთ ქართველთაგან და წარადგინა სადაც ჯერ არს საწარმოებლად. ახლა აი რით გათავდა ეს საქმე: ის ადგილი სხვა კერძო მეპატ-

ლი გამარჯვება დეპოს მომხრეების მხრივ. კრება დაიწყო ზედამხედველის კამიტეტის და გამგეობის წევრთაგან წარმოდგენილის წლიურის ანგარიშის წაკითხვით. მოვიყვანთ მოკლეთ ამ ანგარიშიდამ საჭირო ცნობებს: გასასყიდი საქონელი არის დუქანში 737 მ. და 8 კ.; ავეჯი არის 109 მ. და 49 კ.; ფულად ამოჩნდა—443 მ. და 55 კ.; ამ ფულიდამ 361 მ. და 45 კ. არის ტფილისში გაგზავნილი სავაჭროდ; 10 მ. და 13 კ. ზ. ჭიჭინაძეზეა; მხოლოდ დანარჩენი 71 მ. და 97 კ. საზოგადოების ხაზინადართან არის. სავაჭრო მოწმობებისა, რაც ხანი ავლია იანვრამდის, არის 12 მ. ამ ნაირად დუქანში ამოჩნდა საქონლით, ავეჯით, ფულით და სხვ. 1302 მ. და 5 კ.

დეპოში არის შემოტანილი თანხად 822 მ. და 28 კ. წევრების ფულის; ნასესხებია უსარგებლოდ ტელავის კლუბიდამ 100 მ.; ამას გარდა დეპოს უსესხნია ბ. ქრისტ. ზარაფოვისაგან 321 მ. და 67 კ.; დუქანს მართებს კიდევ ზ. ჭიჭინაძის წიგნებისა 10 მ. და 97 კ.; შეგირდისა—50 კ.; დუქნისა 2 მ. და 92 კ. ამ ნაირად, წევრების ფული, ნასესხი და ისე ვალი დეპოსი არის 1263 მ. და 56 კ. ეს რიცხვი რომ გამოვაკლოთ ზემოთ ნაჩვენებ 1302 მან. და 5 კ. დუქნის სიმდიდრეს, ამოჩნდება, რომ დეპოს მოუგია მთელს წელიწადს 38 მ. და 49 კ.

აქ საჭიროა დავუმატოთ, რომ წარსულის წლის დამლევს დეკემბრის 19-ს მოუხდენიათ დეპოსთვის ანგარიში და აღმოჩენილა ზარალი თანხიდამ ხუთის თვის და თერთმეტი დღის განმავლობაში 119 მ. და 8 კ., და რადგანაც ეხლა წლის თავზედ ეს ზარალიც შევსილა და კიდევ დარჩომია ნაღდი 38 მ. და 49 კ. მოგება, სჩანს, რომ უკანასკნელს ექვს თვეში და ცხრამეტ დღეში დეპოს ჰქონია მოგება 152 მ. 57 კ. ეს გარემოება მოწმობდა დეპოს მოქმედების კარგს კვალში ჩაყენებას, და ამისთვის მის არა-მოკეთეთაგან ბევრ-გვარი მეცადინეობა იყო ნახმარი, რომ ეჩვენებინათ კრებისთვის ანგარიშის სიყალბე. უნდა ვსთქვათ, რომ თუ დეპოში იქნებოდა იმ ფასით ვაჭრობა, რომლითაც იყიდებოდა ამ ხანებში სხვა დუქნებში, მაშინ მას არა ნაკლებ ასის თუმნისა ექნებოდა მოგება. ვაჭრობა შემობრუნებული 12 მანეთამდის.

ანგარიშის წაკითხვამ გამოიწვია ორიოდე კითხვა და მცირეოდენი აყალ-მაყალიც; მაგ. სავაჭრო მოწმობები, რომლებიც აუღია სამმართველოს იანვრამდის, ზოგიერთის აზრით, უნდა მთლად გასულ ხარჯად იყოსო ნაანგარიშები; ქონება, რაც დუქანსა აქვს, უნდა ნახევარ ფასად ჩაეარდნილიყოვო; დუქნის ავეჯი არ უნდა გეანგარიშათ იმ ფასად, რა ფასადაც გიყიდნიათო. ყველა ეს კითხვები გაირჩენ და ყველას მიეცა პასუხი. ბ. ი. ზ., რომელიც წევრია ამ დეპოსი, იქავე მოუტანა საანგარიშო და თვალით აყურებინა საზოგადოებას ყოველის ციფრის სისწორით გამოყვანა. იმისთანა ანგარიშის კაცმაც კი, როგორიც არის ბალდოევი, აღიარა, რომ ანგარიში სწორედ არის შედგენილიო: ამის შემდეგ კრებამ ერთხმად მიიღო ეს ანგარიში და დაამტკიცა. აქ რაღაც მიზეზით თავმჯდომარე მიუბრუნდა კუნჭულში მჯდომ ბ. მთვარელიშვილს და სთხოვა, «ეპძანებინა რამე». მან წყრომით და შუბლის ქექით უპასუხა: «მე რაღა უნდა ვსთქვა, როდესაც მთელი კრება ეთანხმება?» და ისევ მიეცა წესდების კითხვას.

მეორე მუხლი, რომელიც დეპოს მმართველობამ წარუდგინა კრებას, მოგების განაწილებას შეეხებოდა. დეპოს მმართველობა სთხოვდა საზოგადოებას, რომ სამი თუმანი ჯილდოდ მისცემოდა იმ კაცს, რომელმაც ამ ექვსის თვის განმავლობაში უფასოდ გაუწია სამსახური ტფილისში და რვა მანეთი კი შენახულიყო დეპოსავე სასარგებლოდ. აქ კი ბ. მთვარელიშვილის სულ-გრძელებამ ველარ გაუძლო და შემდეგი წარმოსთქვა: «დეპოს მმართველობას სრულიად არ ესმის თავის დანიშნულება; იქცევა თავის ნებაზედ და განგებ უნდა საზოგადოებას თვალი აუხვიოს. მე კარგად ვიცი, რა ნაირად და რა ოინებს ეწეოდა დეპოს მმართველობა და, თუ გნებავთ, შემიძლიან—დაწვრილებით შეგატყობინოთ. თვით ეგ ჯილდოს დანიშვნაც ბოროტ-მოქმედებაა. მმართველობას სურს თავის კაცს ჯამაგირი მისცეს და თქვენ ჯილდო დაგანიშნინოთ. მმართველობას რა ნება აქვს, ვისმეს ჯილდოს უნიშნავდეს. თუ ჯილდოს მიცემაზედ იქნება, მე უფრო კარგს კანდიდატს წარმოვადგენ (არ ათქმევინეს—ვინ იყო იმისი კანდიდატი: ეკუთა თუ ბალდასარა)». თუმცა მაგარის ხმით და მოსამზადის ხელებით დაიწყო ლაპარაკი ბ. მ., მაგ-

რონეთა ადგილებთან რკინის გზის მმართველობას მიაქვს და ამ ადგილების მაგივრად მეპატრონეებს ღირებულს ფასს აძლევს. ადგილები დააფასა ცალკე კომისიამ თ. ნ. ბ. ერისთავის თავსმჯდომარეობით. პირველად ის სკოლის ადგილი კომისიამ დააფასა კვადრატული საჟენი ათ თუმნად. ეს მმართველობას რკინის გზისას ძალიან სძვირებია და უკანვე დაუბრუნებია განჩინება კომისიისთვის, რომელსაც სთხოვს, რომ რაც შეიძლება იაფად დააფასე, რომ შეეძლოს მაგ ადგილების შესყიდვაო, რადგანაც დიდი ფული მიდის იმ სკოლის ადგილის და სხვა მეპატრონეთა ადგილების შესასყიდათაო. კომისიამ მეორედ განიხილა საქმე და ახლა, როგორც ამოჩნდა, ის ადგილი, რომელიც ზევით მოგახსენეთ, დაუფასებიათ საჟენი რვა თუმნად, ასე, რომ დღეს იმ ადგილის ნაცვლად, როგორც შევიტყე «წერა-კითხვის საზოგადოებას» უნდა მიეცეს 7500 მანეთი მარტო, რომელსაც ჩემის აზრით უფრო მეტი ღირს ის, რადგანაც ერთს საუკეთესო ბათუმის ნაწილში სძევს.

«წერა-კითხვის საზოგადოების» კომიტეტს ამ საქმის თაობაზე უნდა დაენიშნა კაცი და მიენდო მისთვის ეს საქმე, რომ იგი დაფასების დროს დასწრებოდა და მისი ინტერესი დაეცვა. ახლა საქმე გათავებულია. დღეს კომიტეტი «საზოგადოებისა» იმას მაინც უნდა ეცადოს, რომ ამ ფულის აღება ჩვეულებისამებრ თვისისა რკინის გზის მმართველობამ არ გააჭიანჯლოს. ძალიან სამწუხაროდ მიგვაჩნია, რომ ხსენებულმა კომიტეტმა წინადვე ფიცხელი ზომები არ მიიღო ამ ფრიად საინტერესო საქმის თაობაზე. იცით, ბატონებო, რა ძვირად უღირს «საზოგადოებას» პირველად ის თანაგრძნობა, რომელიც მაჰმადიანმა ქართველებმა გაუწიეს ჩვენს ბათუმის სკოლას და მერე ეს ადგილი, რომლის მოპოვება ეგრე ადვილი არ იყო, და რაც დიდს, ძალიან დიდს გავლენას იქონიებს ჩვენის სკოლის მომავალზე.

მაჰმადიანთ ქართველთ ძალიან სწყინთ, რომ იმ ადგილის ნაცვლად მარტო 7,500 მანეთი ეძლევა ჩვენს ბათუმის სკოლას. არ იციან, რას მიაწერონ ამ საქმის ასე უსიამოვნოდ დაბოლოვება და უკმაყოფილოდ გაიძახიან: «ვისაც მივეცით ეს ადგილი, ის რომ ენერგიულად ცდილიყო, მაშინ საქმე ასე არ წავიდოდაო».

ამასთანავე საშინლად გვიკვირს, რომ ბათუმის სკოლის მთელის წლის მდგომარეობაზე ანგარიში არ დაიბეჭდა ჩვენს გაზეთს «დროებაში,» რომლის საშუალებით შეეძლო ქართველ საზოგადოებას დაენახა ბათუმის სკოლის ნელ-ნელა აღორძინება. ნუ თუ ეს საინტერესო არ არის ჩვენის ქართველი საზოგადოებისთვის *)?

*) დიაღაც საინტერესოა, მაგრამ რა გაეწყობა რომ არა თუ «ანგარიშებიათვის», სხვა უფრო საინტერესო ამბებისა და კორესპონდენციებისათვის არა რჩება ადგილი ჩვენს გაზეთში და ზოგიერთმა ფელეტონებმა და კორესპონდენციებმა ორ-ორ კვირაობით უნდა უცადონ თავის რიგსა; მაინც დავპირდებით პატივცემულ ავტორს, რომ თუ სრულად არა, ხსენებული ანგარიში გამოკრეფით მაინც დაიბეჭდება.

რედ.

# რუსეთი

— მმართებლობის მოამბეში დაბეჭდილია სახალხო განათლების მინისტრის ცირკულიარი, რომლიდამაც სჩანს, რომ პროპაგანდას დიდი ზედ-მოქმედება ჰქონია ზოგიერთა სასწავლებლის შეგირდებზე. ეს ზედ-მოქმედება შეუმჩნევიათ განსაკუთრებით 14 გიმნაზიის და ოთხის რეალური სასწავლებლის შეგირდებისათვის, რომელთაც ბევრი საზოგადო უწესოება მოუხდენიათ და ბევრს მათგანს კერძოდ ისეთი საქმეები ჩაუდენია, რომელნიც გასაგონადაც კი მძიმენი არიან. ცირკულიარი აქცევს ყურადღებას იმ გარემოებას, რომ შეგირდები სრულიად არ ასრულებენ იმ წესებს, რომელნიც მათთვის არიან დადგენილნი და თხოულობს, რომ ამისთანა შეგირდები უთუოდ დასჯილ იქმნან 1874 წლის დამტკიცებულის წესისამებრ; სრულიად უკრძალავს შეგირდს სასწავლებლიდამ წასვლას; პასუხის გებას დირექტორებს კისრათ სდებს და თხოულობს, რომ ერთნაირად იყვნენ დასჯილნი დაბალისა და მაღლისა კლასის შეგირდები; დირექტორებს იწვევს, ყოველი ღონისძიება იხმარონ მშობლების თანხმობით ანჩხლის და დაუდევარის შეგირდების გასასწორებლად და უთუოთ ცირკულიარით აცნობონ გაგდებული შეგირდების სახელი და გვარი; პოლიციას ვალდებულად ხდის სასწავლებლის გარეთ თვალ-ყური ადევნოს შეგირდებს; უბრძანებს შეგირდის მაღალ კლასიდამ დაბალ კლასში გადაყვანას, თუ საჭიროება მოითხოვს, და აგრეთვე თუ, ვინიცობაა, შენიშნეს შეგირდებში პროპაგანდის რამე ზედ-მოქმედება, მაშინვე დაწვრილებით აცნობონ მინისტრსა; თხოულობს, რომ ოჯახსა და სკოლას შორის კარგი განწყობილობა და ნდობა იყოს (Русскій Курьеръ).

— გაზ. «Новости»-ს შეუტყვია, რომ ახალს კანონთა დებულებაში დადგენილ იქმნება ახალი ფორმა პასუხისგებისა, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ სისხლის სამართლით დასჯილს ციხიდამ ვადის შესრულებამდინ განთავისუფლებენ კარგის ყოფა-ქცევისთვის, მაგრამ იმ პირობით კი, რომ განთავისუფლებულებმა უთუოდ შეასრულონ ის წესები, რომელნიც მათთვის დადგენილ იქმნებიან; და თუ, ვინიცობაა, ამ წესებს არ შეასრულებენ, ხელმეორედ დაიჭერენ ციხეში და, რაც ხანი თავისუფლად იყვნენ სასჯელის ვადას არ მოაკლდება.

— გაზ. «Эхо»-ს სიტყვით პეტერბურღში მოსულან უცხო სავაჭრო ფირმების აგენტები იმ განზრახვით, რომ რუსეთში პური იყიდონ. ამ აზრით ისინი ეხლა შუა და სამხრეთ რუსეთისაკენ წასულან.

— გაზ. «Русскій Курьеръ»-ს მოსვლია ამბავი რუსეთის და პრუსიის სამზღვრიდამ, რომ პრუსიის მმართებლობა უმატებს თავის მოსამზღვრე ქალაქების გარნიზონებსა: მაგ., ორს გამბურგში დაყენებულს პოლკს მიემატება ერთი კავალერიის პოლკი 1884 წლის 1 აპრილამდე და შემდეგ, ამ წლის განმავლობაში ერთი არტილერიის პოლკიცაო. პრუსიის მმართებლობა გარნიზონების ასე გაძლიერების მიზეზად იმას იდებს, რომ რუსებსაც ბევრი ჯარები უყენიათ მოსამზღვრე ქალაქებშიო.

— ამავე გაზეთის სიტყვით, გრაფს პალენს განზრახვა აქვს, იმოგზაუროს გერმანიაში, ინგლისში და საფრანგეთში იმ აზრით, რომ შეისწავლოს აქაური ადგილობრივი კანონები შესახებ ურიების აქ მდგომარეობისა. ეს გრაფი

---

რამ ღმერთმა თქვენი მტერი ჩააყენოს იმ სასაცილო მდგომარეობაში, როგორშიაც ის ჩავარდა. გეგონებოდათ ხუთის წლის ბავშვი დაუსვამთ სკამზედ და იმას უხსნიან ამინ-დიდებასაო, ისე მოექცნენ მმართველობის წევრნი და გარეშე პირნი; დაუმტკიცეს, რომ თუმც ემზადებოდა წინადვე ამ დავიდარაბის ასატეხად, მაგრამ მაინც ვერ შეუგნია წესების მუხლების შინაარსი,—ამისთვის მისი ცილის წამება შეურაცხყოფაა, როგორც საზოგადოებისა, აგრეთვე მმართველობისა. მოსთხოვეს დამტკიცება, თუ სად და რაში ამოაჩინა ბოროტმოქმედება მმართველთა, მაგრამ ვაი შენს მტერს, იმან ვერა დაუმტკიცარა. განუმარტეს, რომ დეპოს ქალაქში არავინა ჰყოლია ჯამაგირით დაჭერილი, არც ეხლა ჰყავს. დეპოს აქამომდე ზარალის მეტი არა ჰქონდა-რა და ჯამაგირის დანიშვნა რაში ეცხელებოდა. დღეს თუ ჯილდოდ სამს თუმანს ვუნიშნავთ—მაგას ჩვენი სინიდისი გვამხილებს და თუ თქვენ არ გინდათ იმ კაცის დაჯილდოება,—შეგიძლიანთ უარი სთქვათ—აქ ყველაფერი ხმის უმრავლესობით ირჩევა. იქნება—თქვენც დაგვსაჩუქრონ. მისი პაციენტები, ვისაც ის მოეყვანა თავიანთ მაგივრად სალაპარაკოდ, სირცხვილით იწოდენ, ეს რა დაემართა ამ ჩვენს გმირსაო! რაღა ბევრი გავაგრძელო, შემდეგ მოწინააღმდეგის ამ გვარის გაბერტყვისა, მეორე მუხლიც მიიღო კრებამ.

მესამე მუხლი წილის ფულის მომატებას შეეხებოდა, დეპოს მმართველობა სთხოვდა კრებას, მოემატებინა წილის ფული, ე. ი. აქამომდე თითო წევრს ჰქონდა დეპოში შეტანილი თითო თუმანი, ამას იქით უნდა ჰქონოდათ სამ-სამი თუმანიო. ეს უკანასკნელი ორი თუმანი უნდა ორის წლის განმავლობაში შეტანილიყო ხუთ-ხუთი მანეთობით. ამ წილის ფულის მომატების საჭიროებას მმართველობა ცხადად ამტკიცებდა, აგრეთვე ამტკიცებდა, რომ ამ ფულს შეუძლიან ხარჯის მოუმატებლად შემოსავალს ერთი ათად უმატოსო. ჯერ არცკი გაეგოთ წევრებს, თუ დეპოს მმართველობა რასა სთხოვდა მათ, რომ იმავე ბ. მთვარელიშვილმა იწყო საშინელის გულის ამოსკვნით მმართველთ გაკიცხვა; «რათ აბრიყვებთ საზოგადოებასაო, რად გადაგყავთ წესდებასაო? რომელი მუხლი გაძლევთ ნებას, რომ ნახევარ «პაებით» მოუმატოთ, ან შეიტანოთო. «ამისთანა მოლაპარაკეს, ანუ მწერალს ჩვენში «ტვინის მწვალებელს» ეძახიან და აქ კი კრებაზედ სამართლიანად უწოდეს «ასოების მოჭიდავედ», მაგრამ მან მაინც არდაირცხვინა და ხელმეორედ იწყო: «უნდა უსტავი ბუკვალნოდ სრულდებოდესო». ამის პასუხად თ. მახვახოვმა მოახსენა, რომ თქვენი აზრი მშვენიერებაა, მხოლოდ ეს მაგალითი როგორ მოგწონსო, «ვისაც ჯერედ ხტომა არ შეუძლიან, ნუ თუ იმას ნაბიჯითაც სიარული უნდა აეკრძალოსო?» ამ შენიშვნამ ისეთ ნაირად არია, რომ აღარ იცოდა, ვის ან რას ეუბნებოდა; ზოგს ეუბნებოდა შეგიძლიანთ ეგ თქვენს «ოჯახში» ილაპარაკოთო, ზოგს «შენ პრინციპი არ ესმისო», ზოგს კიდევ სხვ. საქმე იქამდის მივიდა, რომ იმისთანა მოხათრე პირმაც კი, როგორიც ი. ზ. ხათრი იქით გადასდო და ზდილობიანად უთხრა: «მე მიკვირს, ეგ თქვენი მჭევრ-მეტყველება და თუ მეტს არას გავაკეთებთ აქ მე და შენ, გარეთ მაინც გავსულიყავით. არც თავს შევირცხვენდით და არც ასე საქმეს ავრევდითო».

მაინცა და მაინც მმართველობამ ვერ გაიყვანა, ისე როგორც უნდოდა, მესამე მუხლი. კრებამ დაადგინა, რომ მმართველობამ თანხმად კრების გადაწყვეტილებისა სთხოვოს ყოველ წევრს, თუ შეიძლებოდეს რამდენიმე წილი აიღოს, რადგანაც საჭიროება თხოულობს. ამ დადგენილებაზედ აუხირდა ბ. მთვარელიშვილი, მაგრამ ი. ზ. კიდევ ზდილობიანად თქმული მაგალითებით გააკმედინა ხმა. კრება ამ სამის მუხლის გარჩევით და დამტკიცებით გათავდა.

ჭონი.

P. S. ერთი წევრია ამ საზოგადოებისა, რომელიც კლუბში მოსულიყო ამ დროს და სთხოვეს ნახევარ საათს კრებას დასწრებოდა და ქაღალდის თამაში შემდეგ დაეწყო. იმან მიუგო, რომ ის ყველაზედ თანხმა იქნება, რასაც კი კრება დაადგენს, მხოლოდ ეხლა კი არ შეუძლიან კრებაზედ დასწრება. როცა გათავდა კრება და განაჩენი შესდგა, მიუტანეს ხელ-მოსაწერად და მიიღეს პასუხად, რომ ხვალ მომიტანეთ და მაშინ მოვაწეროო. თითქოს დეპოს მმართველნი მოვალენი იყვნენ კარ-და-კარ ატარონ განაჩენები ხელის მოსაწერად.

17 მკათათვეს 1883 წ.

პალენი პრეზიდენტია იმ კომისიისა, რომელსაც მინდობილი აქვს, გადასინჯოს ურიების შესახებ დადგენილი კანონები.

## უცხოეთი.

— სენ-დენის დეპუტატს დელატრს მიუწერია შემდეგი შესანიშნავი წერილი კლოვის იუგოსთვის: «საყვარელო ამხანაგო! იმ უბედურების გამო, რომელიც ისკიის კუნძულზედ მოხდა, ყველა ჩემი ფიქრები მიმართულნი არიან იტალიისკენ. დრო არ არის, ვისარგებლოთ ამ შემთხვევით და მოვახდინოთ შრომის დიდებული დღესასწაული, რომელზედაც მოვიწვიოთ ყველა გვარი შრომის წარმომადგენელნი და რომელსაც თავის დროშებზე ჰქონდეს ზედ-წარწერილი შემდეგი სიტყვები: «ლიტერატურა, ხელოვნება და მრეწველობა მიიღვწიან უბედურთა საშველად?

«თქვენ, ჩემო მეგობარო ამხანაგო, რომელმაც იკისრეთ ხელის-მოწერის გამართვა, უნდა მიმართოთ საფრანგეთსაც და ის, უეჭველია, შეისმენს თქვენს სიტყვას და მიანიჭებს ისკიის უბედურთ მცხოვრებთა ნამდვილს შემწეობასა».

ამაზედ კლოვის იუგოს პასუხად მიუწერია: «მეგობარო ამხანაგო! მე სრულიად ვეთანხმები თქვენგან წარმოთქმულს კეთილშობილურს აზრს. ჩვენი ფრანკო-იტალიის კავშირის კომიტეტი ხვალ შეიკრიბება; მას გარდავსცემ თქვენს წინადადებას და მე ყველაფერი მაიმედებს, რომ ეს საქმე კარგად გადასწყდება.

«ამას წინად ჩვენ იტალიის წარმომადგენლებითურთ ვიდღესასწაულეთ გარიბალდის სიკვდილის პირველი წელიწადი; ჩვენ განვაგრძობთ პატივისცემას ამ კაცობრიულის განწყობილების შეიარაღებული მოციქულისას და მოვუპოებთ ფრანცუზების სიმპატიას ასე მალიან დატანჯულს იტალიას. პარიჟმა კაზამიჩიოლის მიწის-ძვრის შემდეგ ისევ ის უნდა ქმნას, რაც ქმნა მან მურციაში (ესპანიაში) წყალ-დიდობის დროს. დიდის უბედურ შემთხვევების დროს უფრო მტკიცდება ხალხთა შორის ძმობა.»

— კაირიდამ მოსული ამბებიდამ სჩანს, რომ ინგლისის ჯარში ამ უკანასკნელს ორ კვირაში მომკვდარა 117 კაცი.

## განცხადებანი

### ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებლისაგან.

მომავალის სეკტემბრისათვის ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში შეიძლება მიღებულ იქმნენ ყველა მაზრებიდგან მხოლოდ ორმოც-და-თვრამეტი უმაწვილი (58); ოც-და-თვრამეტი პირველს (დასაწყისს) განყოფილებაში და ოცი—მეორეში.

პირველს განყოფილებაში მიღებულ იქმნებიან უეკზამენოდ შვიდის და რვა წლის უმაწვილები. შემომსვლელთ მეორე განყოფილებაში უნდა ეცოდინოსთ ქართული წერა-კითხვა და არითმეტიკიდგან შესწავლილი უნდა ჰქონდესთ ყოველ მხრივ რიცხვები ერთიდგან ოცამდის. მსურველთ შეუძლიათ თხოვნის შემოტანა ოც-და-ხუთს აგვისტომდის; ოც-და-ხუთიდგან თვის დამლევამდის იქნება ახალი მოსწავლეების მიღება. ერთად თხოვნასთან, რომელიც იწერება სასწავლებლის ინსპეკტორის სახელზე, საჭიროა წარმოადგინონ თავად-აზნაურობის მოწმობა, ან მოწმობა ბანკიდგან, რომ მთხოვნელი ბანკის დამფუძნებლად ირიცხება, და წლოვანობის მოწმობა.

მესამე და მეოთხე განყოფილებებში და აგრეთვე პირველს პროგიმნაზიულს კლასში არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის და ამიტომ ამ კლასებში შემოსვლის თხოვნა მიღებული არ იქმნება. (15—12)

### ინგლისური რკინის კრავოტები



ერთ საწოლიანი 8 მ. და ორ საწოლიანი 14 მ., ლეიბები გატენილი ზღვის ბალახით 5-დგან—9 მან. ინგლისურს მაღაზიაში. იქვე ისყიდება 25% იაფად სანამ სხვაგან სადმე: ჭურჭელი, დანა-ჩანგალი, კოვზები, ფადნოსები, გლიტეები, ხათანგები, რკინის კალმები, ქაღალდი, ნიჩბები, რევოლვერები, თოფები, კაცისა და ქალის უნაგირები, ალბომები, კლეონკები, ჩაი 1-ლის ხარისხისა. (100—98)

## ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | მოსკოვის ჩაის |
|---|---|
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 კ. |
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1—40 | — — 1—80 |
| — — 1—60 | — — 2— ,, |
| — — 1—80 | — — 2—50 |
| საუკეთესო 2— ,, | — — 3— ,, |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრავოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1.000 მანეთამდის საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—14)

## სტამბა

### ევთიმე ივ. ხელაძისა.

თბილისში, დოქის-მელიქოვის ქუჩ. ქაშუეთის ეკლესიის შენობაში.

იღებს ყოველ გვარ სასტამბო საქმეებს საბეჭდავად: გაზეთებს, ჟურნალებს, წიგნებს, ბროშიურებს, აგრეთვე ყოველ-გვარ ბლანკებს სჩოტებს, განცხადებებს, აფიშებს, პირობაებს, და სხვ.

სისუფთავეზე და აღნიშნულ დროზე საქმის შესრულებაზე სტამბა პირობას აძლევთ საქმის მომტანთ.

სტამბა კისრულობს კორრეკტურის გასწორებას და ბროშიურების გაკეთებას, უკეთუ ზაკაზის მომცემნი ისურვებენ.

მსურველთ ვთხოვთ ამ ადრესით მომმართოთ.

Тифлисъ, типографія Ефимія Ив. Хеладзе.

ი ნ გ ლ ი ს ი ს მ ა ღ ა ზ ი ა შ ი

### თმის-ამომყვანი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ. (100—17)



### მაკ-მასტერი

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

ს ა ვ ლ ო ბ უ ს ო  კ ა ლ მ ე ბ ი



რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთაო ქაღალდზე. ერთად-ერთი საგენტო — ინგლისის მაღაზია. იქვე აუარებელი სხვა-და-სხვა გვარის კალმები, ყოველის „ხელისათვის"—25% იაფად, ვინემ სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუმაჟნიკები, პორტსიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სანთელი, საღებსი, ცარამშვები ჭურჭლების საწმედად (ბორაკსი), თეთრეულისათვის, პატარა ხალ[illegible] იატაკისათვის კლიონკები, ტახტები, სავარძლები, სარკეები, სავარცხლები, ბეზმენი, ზარები, ზინოკლები რულეტკები, ვატერპასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, მეწყვები, ნემსები, მაგნიტები, სვისტოკი, პომიჩი, ქამრები, სარტყლები. საყელური, პრობკები, საპრობკეები, კრანები, ფილტრები, შრიფტები თავის. ტანისამოსის, ცხენის და პატენტიანი მაკინტოშები, კრაგები, საქაღალდე ქაღალდი კატერ-კლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

პატაშკი—20 კ. (100—58)

### მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 1 აგვისტოდამ 16 აგვისტომდე 1883 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა — | —1 | გირ. | 5 კ. |
| აქაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— | —1 | გ. | 3 კ. |
| მეორისა — — | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი: | | | |
| პირველის ხარისხის | —1 | გ. | 5 კ. |
| მეორისა — | —1 | გ. | $3^1/_2$ |
| მესამისა — | —1 | გ. | 3 კ. |
| ჯვარის-მამის პური: | | | |
| პირველის ხარის. ლავაში | 1 | გ. | 5 კ. |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | $3^1/_2$ |
| მესამისა — | —1 | გ. | 3 კ. |
| მროხის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხის | —1 | გ. | 8 კ. |
| მეორის — | —1 | გ. | 7 კ. |
| სუკი . . . | —1 | გ. | 15 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 | გ. | 7 კ. |

## რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის
9 საათზედ და 46 წამ. დილით.

თბილისიდამ ხაშურამდინ
2 საათ. და 54 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდამ ბაქოსკენ
1 საათზედ და 1 წამ. ღამისა.

ბაქოდგან თბილისისკენ
9 საათზედ დილისა.

რიონიდგან თბილისისკენ
2 საათზედ და 30 წამ. ნაშუადღევს.

ბათუმიდგან თბილისისკენ
9 საათ. დილისა.

ფოთიდგან თბილისისკენ
9 საათ. და 41 წამ. დილისა.

ფოთიდამ დ ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
12 საათზედ ღამისა.

ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
8 საათ. და 46 წამ. დილისა.